საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/7
2026 წლის 16 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის №1-1/66 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის № 1-1/66 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 07/03/2014, 040030000.22.024.016315) დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები

სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ინოვაციების საზოგადოების განვითარების დეპარტამენტი;

ბ) სტარტაპ ეკოსისტემის მხარდამჭერი პროგრამების დეპარტამენტი;

გ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი;

დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ე) ტექნოპარკების დეპარტამენტი;

ვ) მონაცემთა ანალიტიკისა და პროგნოზირების დეპარტამენტი;

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი;

თ) ინოვაციური სტატუსების დეპარტამენტი.“

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის ცნობიერების ამაღლებას ინოვაციური მეწარმეობისა და ტექნოლოგიების შესახებ. მათი ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობას, კარიერული განვითარების, პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და ცოდნის გამოყენების სტიმულირებას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროში;";

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ და ,,ო” ქვეპუნქტები:

„ნ) საქართველოს მოქალაქეებისთვის ხარისხიან IT განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის შესაბამისი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;

ო) IT საზოგადოების შექმნის ხელშეწყობას, საჭირო კავშირების დამყარებას და საერთაშორისო IT კომპანიების ქვეყანაში შემოყვანის ხელშეწყობას.”.

გ) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სტარტაპ ეკოსისტემის მხარდამჭერი პროგრამების დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) სტარტაპ ეკოსისტემის მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებას, ადმინისტრირებას, მართვას და მონიტორინგს;

ბ) პროგრამების მართვისთვის საჭირო პროგრამული (software) უზრუნველყოფის გამართვას;

გ) პროგრამების ცნობადობის ამაღლების მიზნით საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას;

დ) სტარტაპების ზრდის მხარდაჭერას რეგიონებში სპეციალიზებული პროგრამების მეშვეობით;

ე) სტარტაპის დამფუძნებლების კომპეტენციების განვითარებას და მასშტაბირებადი ბიზნესის შექმნისთვის მომზადებას, აქსელერაციის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და მსგავსი პროგრამების განხორციელების მეშვეობით;

ვ) ინოვაციური და ტექნოლოგიური პროდუქტების MVP-ის შექმნის მხარდაჭერას და სტარტაპების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობას;

ზ) სტარტაპების ფინანსებზე წვდომის სხვა ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

3. საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას როგორც რეგიონულ, ისე ცალკეული ქვეყნების ჭრილში, მათ შორის, სააგენტოს მსგავს ორგანიზაციებთან სხვადასხვა ქვეყანაში;

ბ) დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაციას საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სექტორში დამატებითი ფინანსური რესურსისა და მხარდაჭერის მოზიდვის მიზნით, მათ შორის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე მიზნობრივ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;

გ) რელევანტურ სტრატეგიულ ქსელებსა და პლატფორმებში სააგენტოს ინტეგრაციის ხელშეწყობას;

დ) სააგენტოს საქმიანობისთვის რელევანტური საერთაშორისო ინდექსების სისტემური ანალიზისა და მიღწეული შედეგების პერიოდული მონიტორინგის განხორციელებას;

ე) ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამების იდენტიფიცირებას და მასში მონაწილეობას, მათ შორის, რეგიონულ კონსორციუმებში ჩართულობას;

ვ) ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით პოლიტიკის დოკუმენტების (მათ შორის, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, კონცეფციების) შემუშავებას;

ზ) სხვადასხვა უწყებიდან/ორგანიზაციიდან მიღებულ ანგარიშებსა და დოკუმენტებზე კომენტარებისა და მოსაზრებების მომზადებას;

თ) საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის წარსადგენი ანგარიშებისა და სხვა ტიპის დოკუმენტების მომზადებას;

ი) საელჩოებთან და დიასპორებთან ურთიერთობას ინფორმაციის გაცვლის, საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების და საჭირო კავშირების დამყარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის ძირითადი აქტორების გაძლიერებას.”.

დ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მონაცემთა ანალიტიკისა და პროგნოზირების დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) სააგენტოს პროგრამების და პროექტების ეფექტურობის შეფასებისთვის ანალიტიკური ჩარჩოს ჩამოყალიბებას, შეფასების ინდიკატორების და მეტრიკების შემუშავებასა და მათ პერიოდულ განახლებას;

ბ) პროგრამების ეფექტურობის გამოსათვლელად საჭირო სტატისტიკური და სხვა მონაცემების განსაზღვრას, მათი შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებასა და პერიოდულ განახლებას;

გ) პროექტების ეფექტურობის შეფასებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებასა და მათ ანალიზის;

დ) სააგენტოს პროგრამების შედეგების პერიოდულ გაზომვასა და შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის სრულყოფისათვის განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირებას;

ე)ახალი პროგრამების საჭიროების გამოვლენა ინოვაციების ეკოსისტემის გასაძლიერებლად;

ვ) კვარტალური და წლიური ანგარიშგების მომზადებას;

ზ) რელევანტურ საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვას;

თ) სააგენტოს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების განხორციელებას.“.

3. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8) ინოვაციური სტატუსების დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) სტატუსების მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას;

ბ) სტატუსების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას;

გ) სტატუსების გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას;

დ) ინოვაციების რეესტრის წარმოებას;

ე) სტატისტიკისა და ანალიზის წარმოებას, აგრეთვე სტატუსებთან დაკავშირებულ მხარდამჭერ მექანიზმებთან მიმართებით რეკომენდაციების მომზადებას;

ვ) სტატუსების პორტალის ადმინისტრირებას.”.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი **მარიამ ქვრივიშვილი**